

2020 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება
შპს „კარგო ტრანსიტ“

2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის საქმიანობის შედეგები

		31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1	52,952	53,046	56,631
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	529,089	1,313,230	1,552,270
მარაგები	3			
მოკლევადიანი აქტივები		582,041	1,366,276	1,608,901
არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები		5,017	5,017	2,067
გრძელვადიანი აქტივები		5,017	5,017	2,067
სულ აქტივები		587,058	1,371,293	1,610,968

ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4	579,908	1,172,615	1,133,213
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ				2,000
საგადასახადო ვალდებულებები		6,326		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები		586,234	1,172,615	1,135,213
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		586,234	1,172,615	1,135,213

საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		824	198,678	475,755
სულ საკუთარი კაპიტალი		824	198,678	475,755
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		587,058	1,371,293	1,610,968

ხვიჩა ცეკვაძე (დირექტორი)

ეთერი ჯაფარაშვილი (მთ. ბუღალტერი)

Handwritten signature and stamp area



2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის საქმიანობის შედეგები

		2020 წ.	2019 წ.
ამონაგები	6	592,708	20,252,619
თვითღირებულება	7	-485,510	-19,887,374
საერთო მოგება		107,198	365,245

სხვა შემოსავალი		7,212	8,429
დასაქმებულთა ანაზღაურება		-121,160	-125,158
ცვეთა და ამორტიზაცია			-1,004
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი		-7,119	-7,119
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		-917	-3,287
სულ საოპერაციო ხარჯები		-121,984	-128,139

საოპერაციო მოგება		-14,786	237,106
-------------------	--	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება			
მარაგების გაუფასურება			
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	8	6,912	-39,384
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)			
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი შემოსავლებიდან		-7,874	197,722
მოგების გადასახადი			
მოგება(ზარალი)		-7,874	197,722

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)			
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		198,678	475,755
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-189,980	-474,799
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-7,874	197,722
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		824	198,678

ხვიზა ცეკვა (დირექტორი)

ეთერი ჯაფარაშვილი (მთ. ბუღალტერი)



**ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 31.12.2020 წ.
დასრულებული წლისთვის**

ფულადი სახსრების მოძრაობა		
	2020 წ.	2019 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	599,920	608,185
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-4,050
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	603,171	518,397
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	3,251	85,738
	-3,345	-89,323
სავალუტო კურსის ეფექტი	53,046	56,631
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	52,952	53,046
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		

ხვიჩა ცეკვაძე (დირექტორი)

ეთერი ჯაფარაშვილი (მთ. ბუღალტერი)

ბ. მგლ.
ე. ჯაფარაშვილი



კომპანიის დასახელება: შპს "კარგო ტრანსიტ"

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 404985281

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

დირექტორი: ხვიჩა ცეკვავა

დამფუძნებელი: 100% - ხვიჩა ცეკვავა (საქართველოს მოქალაქე).

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1: ზოგადი ინფორმაცია

შპს „კარგო ტრანსიტ“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2013 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გადაზიდვის მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპ. # 27, ბინა 7;

კომპანიის ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, აღმაშენებლის 182;

შენიშვნა 2: ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. შესაბამისად, საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად მასზე მოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები. საკანონმდებლო, საგადასახადო მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას და ცვლილებებს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა არსებულ ბიზნეს გარემოში. კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია რომ ახლო მომავალში განაგრძობს თავის საქმიანობას და არ არსებობს რაიმე პირობა ან გარემოება რომელიც ხელს შეუშლის კომპანიის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი და დაკმაყოფილდა იმით, რომ კომპანია ფლობს შესაბამის რესურსებს ბიზნესში დასარჩენად ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ მოსაზრების გამოსახატავად ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის ეკონომიკური საქმიანობები და გეგმები, მათ შორის COVID-19 გავლენა, რისკები და შესაძლებლობები.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;

3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით. აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება.

კაპიტალი

საკუთარიკაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად-საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა 2%

ტექნიკა და ელ.მოწყობილობები 20%

ავეჯი და მოწყობილობა 20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება ერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება "პირველი შემოსავალში პირველი გასავალში" (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება დამეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება.

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინაპერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო უთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	650	754	906
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	52,302	52,292	55,725
სულ	52,952	53,046	56,631

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
სავაჭრო მოთხოვნები-ნეტო			
გადახდილი ავანსები	529,089	1,313,230	1,541,217
წინასწარ გადახდილი გადასახადი			11,053
სულ	529,089	1,313,230	1,552,270

შენიშვნა 3

სასაქონლო მატერიალური მარაგები

	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
ნედლეული და მასალები			
დაუმთავრებელი წარმოება			
მზა პროდუქცია			
სულ	0	0	0

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
სავაჭრო ვალდებულებები	579,908	1,172,615	1,133,213
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე			2,000
სულ	579,908	1,172,615	1,135,213

შენიშვნა 5

საგადასახადო ვალდებულებები

	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
გადასახდელი მოგების გადასახადი-განაწილებული მოგება			
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი-სხვა			
საშემოსავლო გადასახადი			
დღგ	6326		11,053
ქონების გადასახადი			
სულ	6,326	0	11,053

შენიშვნა 6
ამონაგები

	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
საქონლის/მომსახურების გაყიდვა	592708	20,252,619	18,771,555
სულ	592,708	20,252,619	18,771,555

შენიშვნა 7

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	485510	19,887,374	17,980,635
მიწოდების ხარჯები			
სხვა			
სულ	485,510	19,887,374	17,980,635

შენიშვნა 8

სხვა შემოსავალი

	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	6,912	-39,384	-333,189
არასაოპერაციო მოგება	7,212		
სულ	14,124	-39,384	-333,189

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებული იქნა ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 17 სექტემბერს.

ხვიზა ცეკვაძე (დირექტორი)

ეთერი ჯაფარაშვილი (მთ. ბუღალტერი)

